

ქართული ხალხური სიმღერა

ჩვენ მშვიდობა



Chven Mshvidoba

Peace to Us

Georgian Traditional Folk Song

საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია

ფონდი ქართული გალობა

ILIA CHAVCHAVADZE NATIONAL PARLIAMENTARY LIBRARY OF GEORGIA

TBILISI VANO SARAJISHVILI STATE CONSERVATOIRE

GEORGIAN CHANTING FOUNDATION



ედღვნება სახელოვან და უცნობ მომღერალ წინაპართა
ნათელ ხსოვნას

„ნეტარ იყვენენ მშვიდობის-მყოფელნი...“ (მათე, 5:9)

**Dedicated to the good memory of the ancestors of the singers
renowned and unknown**

“Blessed are the peace makers...” (Matthew, 5:9)



ქართული ხალხური სიმღერა

ჩვენ მშვიდობა

1907-2005 წლებში ჩანერილი 40 რჩეული აუდიონიმუმი

ნოტებზე ჩანერა და შეადგინა
დავით შულლიაშვილმა



Georgian Traditional Folk Song

ჩვენ მშვიდობა

Peace to Us

40 select audio recordings of 1907-2005

Transcribed and compiled by
David Shugliashvili

თბილისი
Tbilisi
2020

UDC(უპა)784.4(=353.1)
შ-93

ნოტების ციფრული ანყობა: **დავით შუღლიაშვილი**
დიზაინი და დაკაბადონება: **გიორგი ბაგრატიონი**
აუდიორედაქტირება და მასტერინგი: **ილია ჯღარკავა**
ინგლისური თარგმანი: **ლევან შუღლიაშვილი**
თარგმანის რედაქტირება: **ჯონ გრემი**
კორექტურა: **თამარ თოლორდავა**
მხატვარი: **ზაზა ლოდია**

**გამოცემის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ქართული გალობა
და საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა**

- © საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2020
- © თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწიფო კონსერვატორია, 2020
- © დავით შუღლიაშვილი, 2020

Notesetting by **David Shugliashvili**
Design and typesetting by **Giorgi Bagrationi**
Audio editing and mastering by **Ilia Jgarkava**
English translation by **Levan Shugliashvili**
English editing by **John A. Graham**
Proof-reading by **Tamar Tolordava**
Cover painting by **Zaza Lodia**

**Published with financial support of the Georgian Chanting Foundation
and National Parliamentary Library of Georgia**

- © National Parliamentary Library of Georgia, 2020
- © Tbilisi V. Sarajishvili State Conservatoire, 2020
- © David Shugliashvili, 2020

ISMN 979-0-802101-46-3

სარჩევი

წინასიტყვაობა	9
წინასიტყვაობა (ინგლისურად)	26

ჩვენ მშვიდობა

№1 – 1907 – გიგო ერქომაიშვილის გუნდის ტრიო: ერმილე მოლარიშვილი, გიორგი იობიშვილი, გიგო ერქომაიშვილი (მაკვანეთი)	41
№2 – 1909 – სამუელ ჩავლეიშვილი, სამუელ ჩხიკვიშვილი, ვარლამ სიმონიშვილი	45
№3 – 1910 – უცნობი შემსრულებლები. ნიკოლაი დერჟავინის კოლექციიდან	55
№4 – 1916 – ლევარსი მამალაძე, მელიტონ მამალაძე, კირილე ახალაძე	58
№5 – 1918 – ვიქტორ მეგრელიშვილი, გრიგოლ ხორავა, კალისტრატე კანკავა	61
№6 – 1927 – გურულების ტრიო, იოზეფ შილინგერის კოლექციიდან	67
№7 – 1931 – ძმები ლადიკო, მანასე და აქესენტი სალუქვაძეები (ანასეული)	73
№8 – 1931 – ვახტანგ სიხარულიძე, კაპიტო ჩხიკვაძე, ერმილე კალანდაძე (ჩოხატაური)	80
№9 – 1935 – თეოფილე ლომთათიძე, ერმალო სიხარულიძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი	83
№10 – 1949 – აპოლონ ჩავლეიშვილი, დომენტი ქარჩავა, ესე ჭანიშვილი (ოზურგეთი)	89
№11 – 1958 – ანანია ერქომაიშვილი, გარსევან სიხარულიძე, მიხეილ კოროშინაძე	96
№12 – 1959 – მელენტი შეროზია, ტატაჩი ფიფია, სოფ. ჩხორიას გუნდი	102
№13 – 1960 – ძმები გიტო, ჭიჭიკო და გივი აროშიძეები (ვაკიჯვარი)	108
№14 – 1963 – კაკო და სევერიან ჭანიშვილები, გიორგი გორდელაძე (ლიხაური)	114
№15 – 1964 – აპოლონ ჩავლეიშვილი, ილ. დოლიძე, ივ დოლიძე (თხინვალი)	120
№16 – 1964 – ძმები ნიკიფორე, კალისტო და გალაკტიონ ჩავლეიშვილები (მთისპირი)	126
№17 – 1964 – გრიგოლ გუმბარიძე, ტიტო გურგენაძე, არსენ პაიჭაძე (ლანჩხუთი)	132
№18 – 1964 – მიხეილ შანავა, ტრისტან შანავა, ესოფე აფშილავა (დერმაღელე)	138
№19 – 1964 – ანსამბლ „დილას“ სოლისტთა ტრიო: ვარლამ ვაშალომიძე, დომენტი ქარჩავა, შერმადინ ჭკუასელი	141
№20 – 1965 – აკაკი კორიფაძე, რაჟდენ ანდლულაძე, დიმიტრი ანდლულაძე (წიფნარი)	147
№21 – 1965 – შალვა მახარაძე, ამირან თოხაძე, დიმიტრი იმედაიშვილი (ვან-ზომლეთი)	150
№22 – 1965 – სიპიტო, გრიგოლ და იორდანე კალანდაძეები (ნაბეღლავი)	156
№23 – 1965 – უცნობი შემსრულებლები სოფელ საჭამიასერიდან	159

№24 – 1966 – დიმიტრი დუმბაძე, ვასო აბაშმაძე, შერმადინ ჭკუასელი (შემოქმედი)	162
№25 – 1966 – ქამილ ტაკიძე, შალვა ჟღენტი, ნიკოლოზ ნიქარიძე (ქობულეთი)	165
№26 – 1966 – ვლადიმერ ბერძენიშვილი, გარსევან სიხარულიძე, ოთარ ბერძენიშვილი	171
№27 – 1967 – I ტრიო: ვარლამ ვაშალომიძე, ილარიონ სიხარულიძე, შერმადინ ჭკუასელი; II ტრიო: ძმები გიტო და ჭიჭიკო აროშიძეები, ანანია ერქომაიშვილი (ოზურგეთი)	180
№28 – 1967 – გარსევან სიხარულიძე, ოთარ ბერძენიშვილი, ვლადიმერ ბერძენიშვილი	186
№29 – 1968 – გარსევან სიხარულიძე, მიხეილ კოროშინაძე, ვლადიმერ ბერძენიშვილი	192
№30 – 1968 – გიორგი კოტრიკაძე, მიხეილ ბარამიძე, ისაკი ასეიშვილი (ზემო სურები)	195
№31 – 1969 – რამინ მიქაბერიძე, ოთარ ბერძენიშვილი, ვლადიმერ ბერძენიშვილი	198
№32 – 1970 – კოჭიკო ჯგუბურია, ომარ ქარაია, ალიოშა ჩერქეზია (ოქუმი)	204
№33 – 1975 – აპალო შათირიშვილი, ლეო ბერიშვილი, გრიშა ტრაპაძე (შუა სურები)	210
№34 – 1977 – ტრიო ბათუმის უხუცესთა ეთნოგრაფიული ანსამბლიდან, იროდი დოლიძის ხელმძღვანელობით	213
№35 – 1978 – გრიგოლ გუმბარიძე, ტიტვიკო გურგენაძე, დავით ტიკარაძე (ჩოჩხათი) . . .	220
№36 – 1995 – ბენია მიქაძე, მალხაზ ერქვანიძე, ანზორ ერქომაიშვილი	226
№37 – 2000 – ილია, ლეო და ამირან აფშილავეები (ომფარეთი)	229
№38 – 2000 – სოფელ დუცხუნის უხუცესთა ანსამბლი, გივი ჭაფოძის ხელმძღვანელობით	235
№39 – 2004 – გური სიხარულიძე, ტრისტან სიხარულიძე, კარლო ურუშაძე (ოზურგეთი) . . .	241
№40 – 2005 – ტრისტან სიხარულიძე, რეზული მყავანაძე, მერაბ კალანდაძე (ოზურგეთი) . .	247
სიმღერის ტექსტები	253
პირთა საძიებელი	257
გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი	261
გამოყენებული პუბლიკაციები	262
მადლობის გვერდი	264
ფოტოგალერეა:	
მომღერლები	265
სიმღერის ჩამწერები	274
CD – აუდიოჩანაწერთა ქრონომეტრაჟი და წყაროები	277

CONTENTS

Introduction (on Georgian)	9
Introduction	26
A simple guide to pronunciation	40

Chven Mshvidoba

№1 – 1907 – Trio from the Gigo Erkomaishvili’s Choir: Ermile Molarishvili, Giorgi Iobishvili, Gigo Erkomaishvili (Makvaneti)	41
№2 – 1909 – Samuel Chavleishvili, Samuel Chkhikvishvili, Varlam Simonishvili	45
№3 – 1910 – Unknown performers, from the collection of Nikolai Derzhavin	55
№4 – 1916 – Levarsi Mamaladze, Meliton Mamaladze, Kirile Akhaladze	58
№5 – 1918 – Viktor Megrelishvili, Grigol Khorava, Kalistrate Kankava	61
№6 – 1927 – Gurian trio, from the collection of Joseph Schillinger	67
№7 – 1931 – Brothers Ladiko, Manase and Akvsenti Salukvadze (Anaseuli)	73
№8 – 1931 – Vakhtang Sikharulidze, Kapito Chkhikvadze, Ermile Kalandadze (Chokhatauri)	80
№9 – 1935 – Teopile Lomtadidze, Ermalo Sikharulidze, Vladimer Berdzenishvili	83
№10 – 1949 – Apolon Chavleishvili, Domenti Karchava, Ese Chanishvili (Ozurgeti)	89
№11 – 1958 – Anania Erkomaishvili, Garsevan Sikharulidze, Mikheil Koroshinadze	96
№12 – 1959 – Melenti Sherozia, Tatachi Pipia, Choir from the village Chkhorია	102
№13 – 1960 – Brothers Gito, Chichiko and Givi Aroshidze (Vakijvari)	108
№14 – 1963 – Kako and Severian Chanishvili, Giorgi Gordeladze (Likhauri)	114
№15 – 1964 – Apolon Chavleishvili, I. Dolidze, Iv. Dolidze (Tkhinvali)	120
№16 – 1964 – Brothers Nikiphore, Kalisto and Galaktion Chavleshvili (Mtisdziri)	126
№17 – 1964 – Grigol Gumbaridze, Titiko Gurgенadze, Arsen Paichadze (Lanchkhuti)	132
№18 – 1964 – Mikheil Shanava, Tristan Shanava, Esopе Apshilava (Ghrmaghele)	138
№19 – 1964 – Trio from ensemble “Dila”: Varlam Vashalomidze, Domenti Karchava, Shermadin Chkuaseli	141
№20 – 1965 – Akaki Koripadze, Razhden Andguladze, Dimitri Andguladze (Tsipnari)	147
№21 – 1965 – Shalva Makharadze, Amiran Tokhadze, Dimitri Imedaishvili (Vani-Zomleti)	150
№22 – 1965 – Sipito, Grigol and Iordane Kalandadze (Nabeghlavi)	156

№23 – 1965 – Unknow performers from the village Sachamiaseri	159
№24 – 1966 – Dimitri Dumbadze, Vaso Abashmadze, Shermadin Chkuaseli (Shemokmedi)	162
№25 – 1966 – Kamil Takidze, Shalva Zhgenti, Nikoloz Tsikaridze (Kobuleti).	165
№26 – 1966 – Vladimer Berdzenishvili, Garsevan Sikharulidze, Otar Berdzenishvili	171
№27 – 1967 – Trio I: Varlam Vashalomidze, Ilarion Sikharulidze, Shermadin Chkuaseli; Trio II: brothers Gito and Chichiko Aroshidze, Anania Erkomaishvili (Ozurgeti)	180
№28 – 1967 – Garsevan Sikharulidze, Otar Berdzenishvili, Vladimer Berdzenishvili	186
№29 – 1968 – Garsevan Sikharulidze, Mikheil Koroshinadze, Vladimer Berdzenishvili.	192
№30 – 1968 – Giorgi Kotrikadze, Mikheil Baramidze, Isaki Aseishvili (Zemo Surebi)	195
№31 – 1969 – Ramin Mikaberidze, Otar Berdzenishvili, Vladimer Berdzenishvili	198
№32 – 1970 – Kochiko Jguburia, Omar Karaia, Aliosha Cherkezia (Okumi)	204
№33 – 1975 – Apalo Shatirishvili, Leo Berishvili, Grisha Trapaidze (Shua Surebi)	210
№34 – 1977 – Trio from the Batumi elder singers ensemble, leader Irodi Dolidze	213
№35 – 1978 – Grigol Gumbaridze, Titiko Gurgenadze, Davit Tikaradze (Chochkhati).	220
№36 – 1995 – Benia Mikadze, Malkhaz Erkvanidze, Anzor Erkomaishvili	226
№37 – 2000 – Ilia, Leo and Amiran Apshilava (Ompareti)	229
№38 – 2000 – Elder singers ensemble from village Dutskhuni, leader Givi Chapodze	235
№39 – 2004 – Guri Sikharulidze, Tristan Sikharulidze, Karlo Urushadze (Ozurgeti).	241
№40 – 2005 – Tristan Sikharulidze, Rebuli Mzhavanadze, Merab Kalandadze (Ozurgeti).	247
Lyric translations	255
Index of persons	259
Index of geographical locations.	261
Used publications.	263
Gratitude page	264
Photo gallery:	
Singers	265
Song recorders	274
CD – time-keepings and sources of the audio recordings	278

ჩვენ მუშაობა

ხმოვანი ისტორია. წარსულში მოგზაურობის სურვილი, მისი კვლევისა და შესწავლის ინტერესი ის ძლიერი იმპულსია, რომელიც კაცობრიობას სამყაროს მუდმივ შეცნობაში, მის გააზრებასა და მომავლის ჭვრეტაში ეხმარება. თომას ედისონის 1877 წლის გამოგონებამ – ხმის ჩამწერმა აპარატმა, ფონოგრაფმა ამგვარი მოგზაურობის, წარსულის გაცოცხლების სრულიად ახალი შესაძლებლობა შექმნა. ფოტოგრაფიის გამოგონების შემდეგ, ხმის რეპროდუცირების დაბადებით, შეიძლება ითქვას, კიდევ ერთი გარდატეხა მოხდა ადამიანის ცნობიერებაში და ახალი სიტყვა ითქვა წარსულის ასახვაში, მსოფლიო ისტორიოგრაფიაში. შემდგომში ეს შესაძლებლობები კიდევ უფრო გაამდიდრა კინემატოგრაფის შექმნამ. ფონოგრაფის გამოგონებიდან 24 წლის შემდეგ, 1901 წელს საქართველოშიც იღებს თავის დასაბამს ხმის ჩანერის ისტორია.¹

ხშირად მიფიქრია იმ ეპოქაზე, იმ დროზე, როცა მსგავს ტექნიკურ საშუალებებზე ჯერ იდეაც კი არ იყო დაბადებული, როცა მსოფლიო აკუსტიკური სამყარო მხოლოდ იმნამიერად მჟღერი, ცოცხალი ხმოვანების ამარა არსებობდა. მაშინდელი დომინირებული სიჩუმის ფონზე ალბათ როგორი განსაკუთრებული იყო დამოკიდებულება ხმისადმი, ადამიანისა იქნებოდა ის, ფაუნისა თუ ზოგადად ბუნებისა; როგორი მგრძობიარე იქნებოდა ადამიანის სმენა მაშინ, როგორ აღიქვამდა ყური ყოველგვარ ახალ ხმოვანებას, ტემბრს, რიტმს, მელოდიას თუ ჰარმონიას. ამ ფიქრის გაგრძელებად მაშინდელ საქართველოს წარმოვიდგენ ხოლმე, რომელიც ჰანგთა მრავალფეროვნებით და ნაირგვარი ხმებით სავსე ხმოვანებით არც არავის ეჯიბრებოდა და არც არავის ემონაფებოდა. თავად ქმნიდა მდიდარ და თვითკმარ საუნჯეს. მრავალი დამპყრობლის მიერ თავსმოხვეულ უცხო მუსიკალურ-კულტურულ ექსპანსიასაც უძლებდა, თვითმყოფადობას ინარჩუნებდა და განვითარებითა და მაღალმხატვრული ღირებულებით ტოლსაც არ უდებდა მათ. ამ სიმღერის ქვეყანაში, სადაც ყოველი კუთხის ჟღერადობა ორიგინალური მრავალხმიანობით, ღვთიური სამხოვანებით იყო გაჟღენთილი, კვლავ და კვლავ იქმნებოდა მსოფლიო მნიშვნელობის მრავალი მუსიკალური შედეგები, მარტოდტექმული „ურმულიდან“ დაწყებული, ურთულესი, ოთხ ხმაში გაშლილი ნადურებით დასრულებული. ამალელებული ან გულში ჩამწვდომი ჰანგებით, საოცარი ჰარმონიებით, გამაოგნებელი იმპროვიზაციებით, თავისი უშუალოებითა და გულწრფელობით წარსულზე მრავალ ფიქრთა აღმძვრელი ამ ფენომენის რეალურ გამოხატულებას წარმოადგენს ძველ მომღერალთა ჩვენამდე მოღწეული ფონოჩანანერები. მათში დაუფარავად და მრავლისმეტყველად მჟღავნდება როგორც თითოეული შემსრულებლის, ისე ზოგადად ქართული მუსიკალური ფანტაზიისა და ნიჭიერების მასშტაბები. დროთა სვლასთან ერთად, მეტად და მეტად ვხვდებით ტრადიციული ქართული კულტურის ამ ხმოვანი საგანძურის მაღალ ფასეულობას და მსოფლიო მნიშვნელობას. ქედის მოხრა და გულითადი მაღლიერება ეკუთვნის მათ, ყველას, ვისი წყალობითაც მოეპოვება საქართველოს ეს დიდი საუნჯე.

ტრიო სიმღერა. ქართულ ხალხურ სასიმღერო რეპერტუარში მხოლოდ სამი მომღერლის მიერ სათქმელ სიმღერებს, ანუ ტრიო სიმღერებს თავისი განსაკუთრებული ადგილი უკავია. როგორც ცნობილია, მღერის ეს ფორმა დასავლეთ საქართველოს მუსიკალურმა ტრადიციამ შემოგვინახა. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთ საქართველოს ცალკეული კუთხისთვის (სამეგრელო, იმერეთი, ნაწილობრივ აჭარა) ამ სახის სიმღერები უცხო არ არის, თუმცა ტრიო

1 ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ანზორ ერქომაიშვილი, ვახტანგ როდონაია „ქართული ხალხური სიმღერები. პირველი ფონოჩანანერები. 1901-1014“. თბილისი, 2006. (გამოცემა შეიცავს 4 აუდიოდისკს). ასევე, იხ. „მოგვიტხოვროს ანზორ ერქომაიშვილი“. თბილისი, 2019. გვ. 53-98.

სასიმლერო ფორმამ განსაკუთრებული განვითარება გურულ მუსიკალურ ფოლკლორსა და სასულიერო მუსიკაში ჰპოვა. სწორედ აქ აღწევს ქართული პოლიფონიური აზროვნება განვითარების უმაღლეს საფეხურს, რის ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშსაც წარმოადგენს სიმლერა „ჩვენ მშვიდობა“. მისი იმპროვიზაციული ბუნების, ვარიანტულობის და ხმათასვლის მრავალსახოვნების წარმოჩენა გახლავთ წინამდებარე გამოცემის მიზანი.

სიმლერის ხმოვანება. როდის შეიქმნა სიმლერა „ჩვენ მშვიდობა“ უცნობია. ამ სიმლერის მაღალმხატვრულობა, კომპოზიციური დახვეწილობა, იმპროვიზაციული ვარიანტების სიმრავლე და გავრცელების არეალი ირიბად მისი ისტორიის ხანგრძლივობაზე მიგვანიშნებს. ქართული ფოლკლორისტიკის ერთ-ერთი სულისჩამდგმელის, პეტრე უმიკაშვილის წიგნში „ხალხური სიტყვიერება“,² როგორც ზეპირსიტყვიერების ცალკე სახეობა, ქართული ხალხური სიმღერების ტექსტებიც არის თავმოყრილი. ერთ-ერთი ნადური სიმღერის ტექსტში ამოვიკითხეთ სიტყვები „ჩვენ მშვიდობა, გამარჯობა“. ამ სიმღერისთვის დართულ შენიშვნაში ნათქვამია: „გურული ნადური, ჩანერილი 1871 წელს დ. ბარნაბიშვილის მიერ (რომელიც აქ აღნიშნავს: „ეს ლექსი დაწერა თვით გურულმა [მო]მღერალმა“).“³

ამ გრძელი ტექსტის მქონე ნადური სიმღერის დასაწყისი ასეთია:

„ოდელია, დილა, ოდელია ოხოხოია, ჰოი!
ვაი და უი დაეცა, ძმანებო, ჩვენს მტერს თავში, ჰოი,
ჩვენ მშვიდობა, გამარჯობა მოგვცეს ღმერთმა,
ამ ყანის ადრე გათავება და კაი კეთება,
ვოხოხოი ადილაი ოდელია ხოი.“⁴

ვერ გამოვრიცხავთ, რომ გურული მომღერლისთვის სწორედ სუფრული სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“ ყოფილიყო ამ რეფლექსიის წყარო. ჩვენ არ ვიცით და ეგებ არსებობს კიდევ უფრო ადრინდელი წერილობითი ცნობა ამ სიმღერის შესახებ.

„ჩვენ მშვიდობა“ – პირველი ფონოჩანაწერები. „ჩვენ მშვიდობის“ ყველაზე ადრეული აუდიონიმუმი მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოგვეპოვება. საუბარია ინგლისური კომპანია „გრამოფონის“ მიერ თბილისის ფილიალში 1907 წელს ჩანერილ და გრამფირფიტად გამოქვეყნებულ ნიმუშზე (იხ. სანოტო და აუდიონიმუმი №1). როგორც ფირფიტაზე დაკრულ საინფორმაციო ეტიკეტზე (იარლიყზე) არის აღნიშნული, ამ სიმღერას გიგო ერქომაიშვილის გუნდის სოლისტები, გიორგი ბაბილოძე, გიგო ერქომაიშვილი და გიორგი იობიშვილი ასრულებენ.⁵ თუმცა, ანზორ ერქომაიშვილის აზრით, სინამდვილეში შემსრულებლები არიან ერმილე მოლარიშვილი, ივლიანე კეჭაცყაძე და არტემ ერქომაიშვილი.⁶ ჩანაწერის დასაწყისში ისმის შედახილი: „მოლარიშვილი, ერთი სტოლის ხელხვაი თქვი, სტოლის“,⁷ რაც უდავოს ხდის, რომ დამწყები ერმილე მოლარიშვილია. ბანს რაც შეეხება, ჩანაწერში აჟღერებული

2 პეტრე უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება. ნაწილი პირველი, ლექსები, ანდაზები, გამოცანები. ტფილისი, 1937.

3 იქვე, გვ. 596

4 იქვე, გვ. 329


5 ფირფიტაზე „ბაბილოძის“ ნაცვლად შეცდომით წერია „ბიბილოძე“. ასევე, სამივე მომღერლის სახელის ინიციალად „გ“-ს ნაცვლად „ვ“ წერია.

6 ანზორ ერქომაიშვილი, ვახტანგ როდონაია, ქართული ხალხური სიმღერები, პირველი ფონოჩანაწერები, 1901-1014. თბილისი, 2006. გვ. 78. ა. ერქომაიშვილი არ აზუსტებს რა წყაროზე დაყრდნობით ადგენს შემსრულებელთა ამ შემადგენლობას. თუმცა, იმავე წიგნში ერთ ადგილას წერს: „კატალოგში შემსრულებელთა ვინაობა არ არის მითითებული, მაგრამ ამ ხარვეზის შევსება მაინც მოხდა ფონოჩანაწერში ხმების ამოცნობით“ (იქვე, გვ. 98).

7 აღსანიშნია, რომ გრამოფონის ფირფიტაზეც სათაურად რუსულად წერია „ხელხვაი“ (Застольная песнь Хелхвави), რომელშიც ორი სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“ და „ადილაი“ არის გაერთიანებული.

ტემბრი შემსრულებლის ასაკოვნებაზე მეტყველებს, რაც, ჩემი აზრით, მის 20 წლის არტემ ერქომაიშვილისთვის მიკუთვნებას საეჭვოს ხდის. ეს ტემბრი, ეს ხმა გიგო ერქომაიშვილს უნდა ეკუთვნოდეს (ეტიკეტზე აღნიშვნისამებრ), რაც მის სხვა ჩანაწერებშიც ტემბრის და გამოთქმის მსგავსებით დასტურდება.⁸ ხოლო შუა ხმა – მოძახილი კი გიგო ერქომაიშვილის გუნდში და, განსაკუთრებით, ტრიო სიმღერებში შუა ხმის მთქმელს – გიორგი იობიშვილს უნდა ეკუთვნოდეს.⁹ ფირფიტის ეტიკეტზე დასახელებული ტრიოს – ბაბილოძე-იობიშვილი-ერქომაიშვილის მიერ არაერთი სიმღერაა ჩანერილი იმავე პერიოდში. შესაძლოა ეს იყოს მიზეზი დაშვებული მექანიკური უზუსტობისა, რომლის გამოც დანმეყბად მოლარიშვილის ნაცვლად გამყივანის მომღერალი ბაბილოძეა მოხსენიებული.

ეს სიმღერა თბილისშია ჩანერილი. თბილისის მაშინ განიხილებოდა როგორც რუსეთის იმპერიის ცენტრალური ქალაქი კავკასიაში და კომპანია „გრამოფონმაც“ კავკასიაში სწორედ თბილისში გახსნა თავისი ფილიალი. „ჩვენ მშვიდობის“ ეს პირველი ჩანაწერი ისტორიაში ფონოჩანაწერთა პირველი თაობის წარმოდგენელს მაქს ჰამპეს უნდა ეკუთვნოდეს. იგი სწორედ 1907 იყო ჩამოსული საქართველოში. ამ მხრივ კიდევ უფრო აქტიური იყო მისი ძმა, ფრანც ჰამპე, რომლის მიერ 1902-1918 წლებში განხორციელებული ჩანაწერების სიაში თბილისი (Tiflis) რამდენჯერმე ფიგურირებს. კერძოდ, პირველად იგი ჩამოვიდა 1903 წელს, შემდგომ 1909 წელს იგი სამჯერ ესტუმრა თბილისს: მაისში, ივნისში და აგვისტოში,



ხოლო ამავე წლის სექტემბერში კი ქუთაისსაც სწვევია.¹⁰ სწორედ ქუთაისშია ჩანერილი მის მიერ სიმღერა „ჩვენ მშვიდობის“ მომდევნო ფონონიშუში. ეს ჩანაწერი 1909 წელსვე ფირფიტის სახით გამოიცა კომპანია „გრამოფონის“ მიერ; მასში სამუელ ჩავლეიშვილი, სამუელ ჩხიკვიშვილი და ვარლამ სიმონიშვილი მღერიან (№2). „გურული სუფრული სიმღერების ეს მშვენიება ძლიერ განვითარებული პოლიფონიით გამოირჩევა. იგი შემსრულებლებს იმპროვიზაციის ამოუწურავ შესაძლებლობას უქმნის, რაც ნათლად იგრძნობა სამუელ ჩავლეიშვილის ჯგუფის ამ ფონოჩანაწერში.“ – ნერს დიდოსტათა ამ შესრულებაზე ანზორ ერქომაიშვილი.¹¹ სწორედ მისი დაულალავი შრომის წყალობით იქნა მოძიებული ეს და მრავალი სხვა ჩანაწერი უცხოეთის ფონოარქივებში, რის შედეგადაც გახდა ის ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი.¹²

8 იხ. იქვე, სიმღერები: „შვიდკაცა“ CD 2 №20, „ფირუზი“ CD 3 №20, „გურული მაყრული“ CD 4 №2.

9 ამ ფირფიტის რარიტეტული ეგზემპლარი გიორგი იობიშვილის შთამომავლების, სერგო და ლელა ურუშაძეების ოჯახში ინახება, რომლის ფოტოასლიც არის აქ წარმოდგენილი.

10 იხ. http://www.recordingpioneers.com/RP_HAMPE1.html

11 ანზორ ერქომაიშვილი, ვახტანგ როდონაია „პირველი ფონოჩანაწერები. 1901-1014“, გვ. 76

12 ამ შრომის შეჯამებად უნდა ჩაითვალოს ანზორ ერქომაიშვილის მიერ 2019 წელს გამოქვეყნებული სამტომეული „საქართველო – ისტორია, კულტურა, ეთნოგრაფია“ – უნიკალური ინგლისურენოვანი გამოცემა, რომელიც წარმოადგენს კვლევას ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ. ნაშრომის მესამე ტომი აერთიანებს 1901 წლიდან დღემდე ჩანერილი უნიკალური ქართული ხალხური სიმღერების, საგალობლების, საკრავიერი მუსიკისა და ხალხური ცეკვების 2491 აუდიო და ვიდეონიშუს.

ფირმა „გრამოფონის“ ჩანაწერებთან შედარებით, 1910 წელს ნიკოლაი დერჟავინის მიერ ცვილის ლილვაკზე ჩანერილი „ჩვენ მშვიდობა“, რომლის შემსრულებელთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია, ჩანერის ხარისხით ბევრად ხარვეზიანია. ამიტომ აქამდე ეს ჩანაწერი არსად გამოქვეყნებულა, მაგრამ ამ ჯერად მისი სანოტო ტრანსკრიფციასთან ერთად პუბლიკაცია შესაძლებელს ხდის უკეთ წარმოჩნდეს აუდიოჩანაწერის როგორც ისტორიული მნიშვნელობა, ისე მისი მხატვრული ღირებულება.

ქრონოლოგიით შემდეგ აუდიონიმუშებად უნდა ჩაითვალოს პირველ მსოფლიო ომში ქართველ ტყვეთაგან ჩანერილი „ჩვენ მშვიდობის“ რამდენიმე ვერსია, რომელიც 1916-1918 წლებით თარიღდება. მათგან წინამდებარე კრებულში წარმოდგენილია ორი ნიმუში (№№4-5). გაოცებას და აღტაცებას იწვევს ავსტრიელი ფილოლოგის, ჰანს პოლაკის და გერმანელი მუსიკოლოგების კარლ შტუმპფისა და გეორგ შუნემანის ინიციატივა, ტყვეთაგან ფოლკლორული ნიმუშების ჩანერისა, რამაც ბევრი სხვა ერის ხმოვანი საგანძურის მსგავსად, ქართული სიმღერა-გალობის უნიკალური ნიმუშები შემოგვინახა. ფონოგრაფით ჩანერების პროცესის პარალელურად, ტყვეთაგან საჭირო მონაცემებსა და სიმღერების ტექსტებს იწერდა გერმანელი ფილოლოგი ადოლფ დირი.

„ჩვენ მშვიდობის“ შემდეგი ჩანაწერი ცხრანლიანი ინტერვალის შემდეგ გვხვდება. კერძოდ, კომპოზიტორისა და მუსიკოლოგის, იოზეფ შილინგერის მიერ 1927 წელს ბათუმში ჩანერილი ნიმუში, გურულების ტრიოს შესრულებით, რომელის წევრთა ვინაობა ჩვენთვის უცნობია.

ამ სიმღერის ჩანერა 1931 წლიდან ხშირდება, რისი დასტურიც არის ამ წელს კომპოზიტორ შალვა მშველიძის მიერ სხვადასხვა შემსრულებელთაგან ფონოგრაფით ჩანერილი ექვსი განსხვავებული ნიმუში. არსებული მონაცემებით, შალვა მშველიძე უნდა მივიჩნიოთ იმ პირველი ქართველ ეთნოგრაფად, ვის ფონოჩანაწერებშიც, სხვა სიმღერებთან ერთად „ჩვენ მშვიდობაც“ მოიპოვება, თანაც რამდენიმე ვარიანტით. მათ შორის, ძმები აქვსენტი, ლადიკო და მანასე სალუქვაძეების მიერ შესრულებული მეტად ორიგინალური ვარიანტი „ჩვენ მშვიდობისა“ (№7), ასევე, ვახტანგ სიხარულიძის ტრიოს უნიკალური ჩანაწერი (№9). შემდგომ და შემდგომ ამ სიმღერის ფონოჩანაწერთა სია სხვადასხვა ქართველი ფოლკლორისტის საექსპედიციო მასალებით ივსება.

1935 წელს რუსი ეთნომუსიკოლოგის, ევგენი გიპიუსის მიერ ფონოგრაფითვე არის ჩანერილი „ჩვენ მშვიდობის“ საოცარი ნიმუში, რომელსაც დიდოსტატი გურული მომღერლები, თეოფილე ლომთათიძე, ერმალო სიხარულიძე და ვლადიმერ ბერძენიშვილი ასრულებენ (№9). ალბათ ჩანაწერის ტექნიკური ხარვეზების სიმრავლეა მიზეზი, რომ ეს უნიკალური ნიმუში აქამდე არ გამოქვეყნებულა, თუმცა შესრულების მაღალი ხარისხი უდავოდ ფარავს აღნიშნულ ხარვეზებს, და ამდენად, წინამდებარე გამოცემის ერთ-ერთი მშვენიერებაა.

1949-1978 წლების საექსპედიციო ჩანაწერები. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის კაბინეტის საექსპედიციო აუდიოჩანაწერები აუთენტური ქართული ხალხური სიმღერის უმთავრეს აუდიოარქივს წარმოადგენს. მასში სიმღერა „ჩვენ მშვიდობის“ ჩანაწერების რაოდენობა ორ ათეულს აჭარბებს. შესაბამისად, წინამდებარე კრებულში კონსერვატორიის საარქივო მასალას ყველაზე დიდი წილი უკავია (16 ჩანაწერი). ამ ჩანაწერებში წარმოდგენილია როგორც ძველი თაობის სახელგანთქმული, მომღერლების ნამღერი, ისე ნაკლებად ცნობილი მომღერლების მიერ შესრულებული ნიმუშები. უნდა ითქვას, რომ კორიფე მომღერლების ჩანაწერებთან ერთად, ფართო საზოგადოებისათვის ამ უცნობი მომღერლების ნათქვამი არაერთი ვარიანტი ქართული სიმღერის ნამდვილ შედეგს წარმოადგენს.

კონსერვატორიის ფონდში „ჩვენ მშვიდობის“ ყველაზე ადრეული ნიმუში 1949 წლით თარიღდება. მას აპოლონ ჩავლეიშვილი, იესე ჭანიშვილი და დომენტი ქარჩავა ასრულებენ. ჩანერილია ვლადიმერ ახობაძის მიერ (№10). ვ. ახობაძესვე ეკუთვნის 1960 წლის გურიის ექსპედიციაში, სოფელ ვაკიჯვარში, ძმები აროშიძეების ნამღერი ნიმუშის ფონოჩანაწერიც. (№13).

თბილისის კონსერვატორიის ფოლკლორის კაბინეტის აუდიოფონდის სიმდიდრეში თავის განსაკუთრებული წვლილი აქვს შეტანილი ეთნომუსიკოლოგ ოთარ ჩიჯავაძეს. „ჩვენ მშვიდობაც“, ყველაზე მეტი რაოდენობით სწორედ მის ექსპედიციებშია ჩანერილი. მათაგან ამ კრებულში 9 ნიმუშია წარმოდგენილი (№№12, 17, 18, 20-25, 32), რომლებიც ჩანერილია: ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში, ლანჩხუთში, ჩოხატაურის რაიონის სოფლებში – ღრმაღელეში, ნიფნარში, ვან-ზომლეთში, ნაბელავში, საჭამიასერში, ოზურგეთის რაიონის სოფელ შემოქმედში, გალის რაიონის სოფელ ოქუშში. ოთარ ჩიჯავაძის მიერ ექსპედიციებში წარმოებული დღიურები, რომელიც თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ინახება, ძალიან ძვირფასი წყაროა ჩანანერებში შემსრულებელთა ვინაობის და მათზე დამატებითი ცნობების დადგენისათვის. ამ რვეულში მას ჩანერილი აქვს აგრეთვე სიმღერის სიტყვიერი ტექსტებიც, რამაც დიდი დახმარება გაგვიწია სიმღერების გაშიფრვისას.

კონსერვატორიის ფოლკლორის კათედრის პირველი ხელმძღვანელის, პროფესორ გრიგოლ (გიგიშა) ჩხიკვაძის საექსპედიციო მასალებიდან 1966 წელს, ოზურგეთის რაიონის სოფელ ლიხაურში ჩანერილი კაკო და სევერიან ჭანიშვილებისა და გიორგი გორდელაძის ნამღერი არის შერჩეული (№14). განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს გრიგოლ ჩხიკვაძისა და ფრანგი ეთნომუსიკოლოგის, პიანისტისა და კომპოზიტორის, ივეტ გრიმოს 1967 წელს მთელ საქართველოში ჩატარებული ერთობლივი ექსპედიციის მასალები.¹³ მათგან ოზურგეთში ჩანერილი საინტერესო ნიმუში შევარჩიეთ, რომელშიც „ჩვენ მშვიდობას“ ორი ტრიო მღერის: 1) ვარლამ ვაშალომიძე, ილარიონ სიხარულიძე, შერმადინ ჭკუასელი და 2) ძმები გიტო და ჭიჭიკო აროშიძეები, ანანია ერქომაიშვილი (№27).

ოზურგეთის რაიონის სოფელ მთისპირიში მცხოვრები ძმები ნიკიფორე, კალიტრო და გალაკტიონ ჩავლეშვილების¹⁴ ნამღერს წარმოადგენს ნიმუში №16, რომელიც ასევე კონსერვატორიის ფონოარქივში ინახება. როგორც მისი აღწერილობიდან ჩანს, იგი ეთნომუსიკოლოგ კახი როსებაშვილის მიერ თბილისში მათი სტუმრობისას არის ჩანერილი, 1964 წელს.

ჩანანერის დაბალი ხარისხის მიუხედავად, საინტერესო ვარიანტს წარმოადგენს ეთნომუსიკოლოგ მინდია ჟორდანიას მიერ 1975 წელს ჩოხატაურის რაიონში, სოფელ შუა სურებში ჩანერილი ნიმუში (№33). მას აპოლონ შათირიშვილი, ლეო ბერიშვილი და გრიშა ტრაპაიძე ასრულებენ. 1978 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ჩოჩხათში მანვე ჩანერა „ჩვენ მშვიდობა“ გრიგოლ გუმბარიძის, ტიტვიკო გურგენაძისა და დავით ტიკარაძის შესრულებით (№35). აღსანიშნავია, რომ კრებულში გრიგოლის და ტიტვიკოს 14 წლით ადრე ნამღერიც შედის, სადაც მათთან ერთად არსენ პაიჭაძე მღერის (№17).

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფოლკლორის ლაბორატორიაში დაცული ზემოჩამოთვლილი საექსპედიციო მასალების გარდა, კრებულში ასევე შევიდა ივანე ჯავახიშვილის ისტორიის და ეთნოლოგიის ინსტიტუტის 1968 წლის ექსპედიციაში თამარ მამალაძის მიერ ჩანერილი „ჩვენ მშვიდობა“. იგი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო სურებშია ჩანერილი. ასრულებენ გიორგი კოტრიკაძე, მიხეილ ბარამიძე და ისაკი ასეიშვილი, რაც თამარ მამალაძის მიერ წარმოებული საექსპედიციო დღიურიდან გაირკვა. კრებულის ბოლოს დართულ ფოტოგალერეაში წარმოდგენილია გ. კოტრიკაძის პორტრეტი-ჩანახატი, შესრულებული იმავე ექსპედიციაში მყოფი მხატვრის, მ. ბერულავას მიერ. (იხ. გვ. 271)

13 თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტრადიციული მრავალხმიანობის კვლევის საერთაშორისო ცენტრისა და ფონდი „ქართული გალობის“ ერთობლივი პროექტის სახით, ამ ექსპედიციას მიეძღვნა სქელტანიანი წიგნი (ოთხი აუდიოდისკით) „გრიმო და ქართული სიმღერა“. თბილისი, 2018.

14 გალაკტიონის შვილიშვილის, კოტე ჩავლეშვილის მითითებით ძმების გვარი ჩავლეშვილია და არა ჩავლეიშვილი, როგორც იხილავს მისი მოხსენიებულნი არიან აუდიოჩანანერის დედნის აღწერილობაში.

ცალკეულ შემთხვევებში შემსრულებლთა ვინაობისა და სასიმღერო ხმის (დამწყობა, მოძახილი თუ ბანი) დასაზუსტებლად მოგვინია დაკავშირება ამა თუ იმ სოფლის მომღერლებთან, ასაკოვან მაცხოვრებლებთან და მომღერალთა შთამომავლებთან და ნათესავეებთან. მათივე დახმარებით იქნა მოპოვებული ცალკეულ მომღერალთა ფოტოსურათები.

აღსანიშნავია, რომ ამ საექსპედიციო აუდიოჩანაწერების უმრავლესობა, წინამდებარე გამოცემაში დართული აუდიოდისკის სახით, პირველად ქვეყნდება.¹⁵

გამოქვეყნებული ჩანაწერები. „ჩვენ მშვიდობის“ პირველი ორი ისტორიული ჩანაწერის შემდეგ, რომლებიც ფირფიტის სახით გამოსცა კომპანია „გრამოფონმა“ (1907, 1909), ამ სიმღერის აუდიო ჩანაწერი 1964 წლამდე არ გამოქვეყნებულა. ვგულისხმობ საბჭოთა პერიოდის გრამფირფიტების ჩამწერი სტუდიის „მელოდიის“ მიერ გამოცემულ მცირე ზომის ფირფიტას, ე. წ. „მინიონს“, რომელზე ჩანერილი 5 სიმღერიდან პირველი „ჩვენ მშვიდობა“, აპოლონ ჩავლეიშვილის ტრიოს შესრულებით, სოფელ თხინვალიდან (№15).

„ჩვენ მშვიდობა“ უმეტეს შემთხვევაში ენერგიული ხასიათით და ომახიანად სრულდება, მაგრამ ერთი ჩანაწერი, ამ თვალსაზრისით, ხაზგასმით განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს: საოცარი იდეალეობა ახლავს ვლადიმერ ბერძენიშვილის უნიკალურ ჩანაწერს, სადაც ბანის ხმის მქონე ეს დიდი კორიფე კრინით მღერის ზედა ხმას. მას ბანს ლილინით უწყობს შვილი, ოთარ ბერძენიშვილი, ხოლო მოძახილს – გარსევან სიხარულიძე (№26). 1966 წელს, სტუდია „მელოდიის“ მიერ ჩანერილმა ამ დიდოსტატურმა შესრულებამ შეუძლებელია გულგრილი დატოვოს მსმენელი.

სამართლიანი იქნება, თუ ვიტყვით, რომ „ჩვენ მშვიდობის“ ჩანაწერები ყველაზე მრავალჯერადად და, ამასთან, მრავალფეროვნად ლადიმე და ოთარ ბერძენიშვილებისა და გარსევან სიხარულიძის შესრულებით გვხვდება, რაც წინამდებარე კრებულშიც აისახა. ამ ტრიოს მიერ შესრულებული კიდევ ერთი განსაკუთრებული ვარიანტია წარმოდგენილი „ანთოლოგიად“ წოდებული ოთხი ფირფიტის შემცველ გამოცემაში „საქართველო ხალხურ სიმღერებში“. სტუდია „მელოდიის“ მიერ 1967 წელს გამოცემულ ჩანაწერში ვლადიმერ (ლადიმე) ბერძენიშვილი ბანს მღერის, ოთარ ბერძენიშვილი – მოძახილს, ხოლო გარსევან სიხარულიძე – დამწყობა (№28). ხმის რეჟისორი გახლდათ ამ სტუდიის ცოცხალი მემატანე, მიხეილ კილოსანიძე.

ნახევარი საუკუნის წინ, ტირაჟირებული ფირფიტის გამოცემების გარდა, ფართო საზოგადოება რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობითაც არაერთ საინტერესო ვერსიას ეცნობოდა. გასაკვირი არ არის, რომ ეთერისთვის, სიმღერის საუკეთესო შემსრულებლები იყვნენ შერჩეულნი, რომელთა ჩანაწერები დღეს საზოგადოებრივი მაუწყებლის „ოქროს ფონდის“ საგანძურს წარმოადგენს. ამის ნიმუშია ვიდეოლოკუმენტის სახით შემონახული კიდევ ერთი შედეგრი „ჩვენ მშვიდობისა“. მასში ბანს ისევ ლადიმე ბერძენიშვილი ამბობს, ზედა ხმას – გარსევან სიხარულიძე, ხოლო მოძახილს – მიხეილ კოროშინაძე.¹⁶ ამ ჩანაწერში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დამწყების, გარსევან სიხარულიძის საოცარი ფიგურაციები (№29):

ვო - რე - რო - რე - რო რა - ნი - ნე - ვო და ტი - რა - რო - და რი - რა - რო - ი
vo - re - ro - re - ro ra - ni - ne - vo da t'i - ra - ro - da ri - ra - ro - i

რე - ვო - რე - რა ვო - რე - რა - ვო ვო - რე - რა - ო ა - ბა - დე - ლო ა - დი - ლავ - და
re - vo - re - ra vo - re - ra - vo vo - re - ra - o a - ba - de - lo a - di - lav - da

15 კერძოდ, №№10, 12-14, 16-18, 20-25, 30, 32, 34, 35.

16 ვიდეოჩანაწერი ინახება საზოგადოებრივი მაუწყებლის პირველი არხის ოქროს ფონდში (საიდანაც გადმოგვეცა აუდიოჩანაწერის ასლი). ასევე, იხ.: https://www.youtube.com/watch?v=fuwDmN_CHQA

ამ შესრულების მოსმენისას ძალაუნებურად გახსენდება იოანე ბატონიშვილის „კალმასობა-ში“ დასავლურ ქართულ გალობა-სიმღერაზე თქმული სიტყვები: „სასიამოვნო ხმა არს, კარგად შეწყობილი, რომელ საკრავსა მიემსგავსების“.¹⁷

გარსევან სიხარულიძის, მიხელ კოროშინაძისა და ანანია (ნანიო) ერქომაიშვილის „ჩვენ მშვიდობის“ უნიკალურ ჩანაწერს ინახავს საქართველოს რადიოს ფონდი (№11). აქვეა დაცული ანსამბლ „დილას“ სოლისტთა, ვარლამ ვაშალომიძის, დომენტი ქარჩავასა და შერმადინ ჭკუასელის ტრიოს უნიკალური ჩანაწერი (№19) და კიდევ ერთი ძვირფასი ჩანაწერი ლადიმე და ოთარ ბერძენიშვილისა, სადაც დამწყები რამინ მიქაბერიძე გახლავთ (31).

აჭარის რადიოს ფონდშიც მოვიკითხეთ სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“, ძველი მომღერლების შესრულებით, საიდნაც ბათუმის უხუცესთა ანსამბლიდან იროდი დოლიძის ტრიოს ჩანაწერი მოგვანოდეს. სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობი დარჩა თუ ვინ არიან ბანის მთქმელი იროდი დოლიძის პარტნიორები ამ ჩანაწერში. განსაკუთრებით საინტერესოა დამწყების მთქმელი მომღერლის ვინაობა (№34).

როგორც უკვე ვთქვით, ჩვენს კრებულში ჩანაწერები ქრონილოგიურად გვაქვს დალაგებული. ყველაზე აქტიურად 1960-1970-იანი წლების ჩანაწერებმა მოიყარა აქ თავი. XX საუკუნის ბოლო ნიმუშად აღებული გვაქვს ჩანაწერი ანზორ ერქომაიშვილის 1995 წლის სატელევიზიო გადაცემიდან. მასში მოწვეული იყო იმერელი თეთრწვერა მომღერალი, ბენია მიქაძე. ჩანერას ანჩისხატის გუნდიც ესწრებოდა და მეც იქ გახლდით, როგორც ამ გუნდის წევრი. ჩანერის დაწყებამდე ძალიან დასამახსოვრებელ მომენტს შევესწარით იქ და ამიტომ ვამახვილებ მასზე ყურადღებას: იმ პერიოდში ბენია მიქაძეს მეუღლე და შვილიშვილი ახალი გარდაცვლილი ჰყავდა, მაგრამ მიუხედავად ამისა, უარი არ თქვა გადაცემაში მონაწილეობაზე. სტუდიაში რომ შემოვიდა ყველა ფეხზე წამოვდექით, მას ანზორ ერქომაიშვილი მოკითხვით მიესალმა: „როგორ ბრძანდებით ბატონო ბენია?...“ სიტყვა არ ჰქონდა დასრულებული, რომ ბენიამ პასუხის ნაცვლად მყისვე წამოიწყო „ჩვევენ მშვიდიდობა...“, რასაც ბანში ანზორ ერქომაიშვილი, ხოლო მოძახილში მალხაზ ერქვანიძე აჰყვა. ამ მომენტმა, თავისი მოულოდნელობით, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე და სიხარულიც განგვაცდევინა.

2000-იანების ჩანაწერები. თითქმის ერთსაუკუნოვან პერიოდში ჩანაწერთა რაოდენობის განსაზღვა კრებულის მოცულობაში რეგლამენტმა განაპირობა. 2000-იანების ჩანაწერებიდან ჩვენ ოთხ ჩანაწერზე შევჩერდით. მათ შორისაა მღერის თავისებური მანერით გამორჩეული ტრიო ილია, ლეო, და ამირან აფშილაევისა, ლანჩხუთის რაიონის სოფელ ომფარეთიდან (№37), ასევე განსაკუთრებული იმერეთში, ვანის რაიონის სოფელ დუცხუნის უხუცესთა ანსამბლის ნამღერი „ჩვენ მშვიდობა“ (№38). ორივე შესრულება 2000 წელს არის ჩანაწერილი მალხაზ ერქვანიძის მიერ. კონსერვატორიის არქივში ამ გუნდის ძველი, 1961 წლის ჩანაწერი მოიპოვება, ოთარ ჩიჯავაძის ექსპედიციიდან, მაგრამ ტექნიკური წუნის გამო ვერ ჩავრთეთ კრებულში. თავისმხრივ კი საინტერესოა 39 წლის ინტერვალთ ჩანაწერილი ერთი და იგივე გუნდის ჩანაწერის ურთიერთმედარება.

2004 წელს საქართველოში გერმანიიდან ჩამოვიდა მუსიკოსი და პროდიუსერი სებასტიან პანკი. ამ მოგზაურობის ორგანიზებაში მას დაეხმარა გერმანულ-კავკასიური საზოგადოება „ლილეს“ ხელმძღვანელი, მარიკა ლაფაური. მან გურიაში, ოზურგეთში გურული სიმღერები ჩაიწერა იმ დროის საუკეთესო მომღერლებისგან გური და ტრისტან სიხარულიძეებისგან და კარლო ურუშიძისგან. ეს ჩანაწერები 2005 წელს გამოიცა კომპაქტდისკში, სახელწოდებით „ანჩისხატის გუნდი. მოგზაურობა საქართველოში“.¹⁸

17 იოანე ბატონიშვილი – „კალმასობა“, თბილისი, 1948. გვ. 61


18 ამ ორდისკიანი გამოცემის ძირითად ნაწილს წარმოადგენს ანჩისხატის გუნდის მიერ შესრულებული საგალობლები და სიმღერები. აქვე შესულია ანსამბლ „წინანდლის“ მიერ ნამღერი კახური სიმღერები.

მასში „ჩვენ მშვიდობის“ ჩანაწერიც არის შესული, რომელიც ჩვენს კრებულშიც შევიდა. (№39)

დაბოლოს, ტრისტან სიხარულიძის, რეზული მუჟავანაძისა და მერაბ კალანდაძის ნამღერი „ჩვენ მშვიდობა“, ჩაერილი 2005 წელს, ნიმუშია იმპროვიზირების ოსტატური ხელოვნების თანამედროვეობაში ცოცხლად არსებობისა. დღესაც შესაძლებელია ამ ტრიოსთან სტუმრობა, მათი მოსმენა და შესწავლა ქართული სიმღერის იმპროვიზაციის ხელოვნების საიდუმლოებისა.

შეიძლება ითქვას, რომ „ჩვენ მშვიდობის“ ზემოდასახელებული ორმოცივე ნიმუში, თავისებურად უნიკალურია და ბევრი მათგანი ნამდვილ შედეგს წარმოადგენს. საყურადღებოა, რომ ამ სიმღერის შესახებ ქართველ თუ უცხოელ მკვლევართა ცალკეული მოსაზრებებისა და დაკვირვებების არსებობის მიუხედავად, ეთნომუსიკოლოგიის სამეცნიერო სივრცეში ეს სიმღერა აქამდე სათანადო სპეციალური კვლევის ობიექტად არ ქცეულა.¹⁹ ამას, გარკვეულწილად, „ჩვენ მშვიდობის“ სანოტო ჩანაწერების სიმწირეც მოწმობს და განაპირობებს.

სანოტო ტრანსკრიფციები. ქართული ხალხური სიმღერების ნოტებზე ჩანერისა და გამოქვეყნების ისტორია XIX საუკუნის 70-იანი წლებიდან იღებს სათავეს. 1878 წელს ქართული სიმღერის პირველ გამოქვეყნებულ კრებულში, მიხეილ მაჭავარიანის „სამშობლო ხმებში“ გურული სიმღერა არ გვხვდება,²⁰ მაგრამ ანდრია ბენაშვილის 1885 წელს გამოცემულ „ქართულ ხმებში“ უკვე ოთხი გურული სიმღერაა წარმოდგენილი, მათ შორის ისეთი რთულიც, როგორცაა „ხასანბეურა“.²¹ სიმღერა „ჩვენ მშვიდობის“ პირველი სანოტო ჩანაწერი 1917 წლით თარიღდება. იგი ავსტრიულ მუსიკოლოგსა და კომპოზიტორს, რობერტ ლახს ეკუთვნის. მან 1916 წელს პირველი მსოფლიო ომის ქართველ ტყვეთაგან გერმანიაში ჩანერილი აუდიოჩანაწერებიდან ერთ-ერთი „ჩვენ მშვიდობაც“ გაშიფრა. ეს სანოტო ტრანსკრიფცია, სხვა ქართულ სიმღერებთან ერთად, შესულია მისსავე წიგნში „რუსი სამხედრო ტყვეების სიმღერები“.²² თუმცა, მან მხოლოდ სიმღერის ზედა ხმის, დამწყების პარტია გადაიტანა ნოტებზე. ამასთან, სიმღერა სიტყვების გარეშეა ჩანერილი.



რობერტ ლახი
Robert Lach
1874 – 1958

ტყვეებისგან ჩანერილი სიმღერების კრებულის 1928 წლის ავსტრიულ-გერმანულ გამოცემაში, რომელიც კერძოდ ქართულ სიმღერებს მიეძღვნა, ეს ხარვეზი გამოსწორებულია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კვლავ „ჩვენ მშვიდობის“ მხოლოდ ზედა ხმის პარტიაა მოცემული სანოტო ჩანაწერში.²³ საყურადღებოა, რომ რობერტ ლახის კრებულზე ასევე მუშაობდა ადოლფ დირი, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თავად იწერდა და თარგმნიდა ტყვეებისგან ნამღე-

19 ბოლო ხანებში სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“ უცხოელ მკვლევართა ინტერესის სფეროში მოექცა. ამის მაგალითებია: ამერიკელი მეცნიერის, ბრაიან ფერლის ნაშრომი „The Gurian Trio Song: Memory, Media, and Improvisation in a Georgian Folk Genre“, 2017 გვ. 71–72, 78–79, მარინა კავანოვას სადისერტაციო ნაშრომის „Setting the Tone“-ის ერთი თავი: „Peace Variants“, 2020, რომლებშიც ამ სიმღერის შესახებ არის გარკვეული ასპექტით ყურადღება გამახვილებული.


20 მიხეილ მაჭავარიანი. „სამშობლო ხმები“ ყმანვილთათვის სამღერადი სახალხო სიმღერები, გადაღებული ნოტებზედ ერთ, სამ და ოთხ ხმისათვის. თბილისი, 1978.

21 ანდრია ბენაშვილის. „ქართული ხმები“, ხალხური სიმღერები. თბილისი, 1885.

22 რობერტ ლახი – Robert Lach „Gesänge russischer Kriegsgefangener“. Wien, 1917. გვ. 58

23 რობერტ ლახი – Robert Lach. „Gesänge russischer Kriegsgefangener“, III Band, Georgische Gesänge. Transkription und Übersetzung der georgischen Texte von A. Dirr. Wien und Leipzig, 1928. გვ. 92.

რი სიმღერების ტექსტებს.²⁴ როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ა. დირი სიმღერის ტექსტებს ქართულად თვით ტყვეებს აწერინებდა ფურცელზე. სწორედ ამ დოკუმენტების წყალობით გახდა ცნობილი შემსრულებელთა ვინაობა, სადაურობა, ასაკი.



Lfd. Nr. *462 b*

Kriegsgefangenenlager: *Sagan*

Datum: _____

SPRACHTEXT

Lautliche Aufnahme Nr. _____

Art der Aufnahme: *Choral, georgische Melodie, Fiedler zu Ehren des Wirtes.*


Name der Sprecher, Sänger, Musiker: *Agrleschwili, Kenkwa, Chorange*

Welche Sprache bzw. Dialekt: *georgisch*

Name des Aufzeichners: *Dirr*

TITEL:
ჩვენ შეიარაღ.

*ჩვენ შეიარაღ ვაძხულებთ, ჩვენ მძინძვობთ მხარხუბთ.
ყავს სიმღერები ჩვენი.*



24 ამ პროცესის ამსახველი ფოტოები გამოყენებულია პუბლიკაციიდან „ეჭო წარსულიდან: ქართველ ტყვეთა სიმღერები ჩანერილი ცვილის ლილვაკებზე გერმანიაში 1916-1918“. თბილისი, 2014.

236. (Hochzeitslied).

Dreistimmig von den bei № 234 und 235 genannten Sängern in zwei verschiedenen Fassungen (vgl. № 224) angeführt. Gesamtaufnahme Ph.A. Pl. № 2751 (1. Fassung), sowie 2755 u. L. 11 (2. Fassung); Einzelstimmen Ph.A. Pl. № L 12-14 (1. Fassung) und № 2752 - 2754 (2. Fassung). M. M. ♩ = 72

čven mšvido (i-o) ba ga -(i-a)maržo ba
 (ho rera nanina nanina nanina o da horiro voriro
 rirovo rera nanina da delo dilo dela nanina ho i
 nanino delia o da ho i nanina ho rudila
 nanina de la dilo na ri nada ho riro vo rivo
 ho ri rovo riro o voriro rera nanina da delo delo
 nanina o da dilono o orerovo rera nanina da).



ადოლფ დირი 1867-1930 Adolf Dirr

ქართული ტექსტების ჩანერისას

during the recording of Georgian texts

რამდენად გასაკვირიც არ უნდა იყოს, „ჩვენ მშვიდობა“ სრულად (სამ ხმაში ჩანერილი) ნოტირებული სახით რ. ლახის პირველი გამოცემიდან მხოლოდ 87 წლის შემდეგ, 2004 წელს გამოქვეყნდა კრებულში „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. გურული სიმღერები“. მასში შესულია გური და ტრისტან სიხარულიძეებისა და ოთარ ბერძენიშვილის ტრიოს შესრულებით, სპეციალურად ამ გამოცემისთვის ჩანერილი ნიმუში (ნოტირებული მალხაზ ერქვანიძის მიერ).²⁵

შემდეგ 2005 წელს კიდევ ორ სანოტო კრებულში დაიბეჭდა „ჩვენ მშვიდობა“. კერძოდ, პირველი იყო კრებული „ქართული ხალხური სიმღერები ანჩისხატის გუნდის რეპერტუარიდან“, რომლის ავტორი თავად გახლავართ. მასში წარმოდგენილია „ჩვენ მშვიდობის“ ჩავლეიშვილი-ჩხიკვიშვილი-სიმონიშვილისეული ვარიანტის²⁶ ანჩისხატის გუნდის შესრულების სანოტო ტრანსკრიფცია.²⁷

ხოლო მეორე ნიმუში ამავე წელს ანზორ ერქომაიშვილის მიერ გამოიცემულ „არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებულში“ შედის.²⁸ სიმღერის ამ ვერსიის შესახებ ნიგნის ავტორი წერს: „კრებულში წარმოდგენილი ნიმუშის პირველი ხმა სამუელ ჩავლეიშვილის ვარიანტია“,²⁹ თუმცა, დაფიქრებულად, რომ „ჩვენ მშვიდობის“ ამ ვარიანტის აუდიოჩანაწერი არ მოიპოვება. ანზორ ერქომაიშვილმა პირად საუბარში მითხრა, რომ ბაბუსიგან გადმოცემული რა ვარიანტიც ახსოვდა, ის ჩანერა ნოტებზე, და ცნობა პირველი ხმის ჩავლეიშვილისეულობაზეც მისგან ახსოვს.

2006 წელს ლევან ვეშაპიძის მიერ შედგენილ და გამოქვეყნებულ სანოტო კრებულში „გურული სიმღერები“ „ჩვენ მშვიდობის“ ექვსი ნიმუშია მოცემული. მათ შორის, პირველი ვლადიმერ ბერძენიშვილის, მიხეილ კოროშინაძისა და გარსევან სიხარულიძის მიერ 1962 წელს თბილისში ჩანერილი ნიმუშის ტრანსკრიფციაა.³⁰ დანარჩენ ხუთში კი, ამ სიმღერის მარტივი, სადა ვარიანტიდან ე. წ. გამშვენებულ ვერსიამდე განვითარების თავისებურ დინამიკას გვაჩვენებს ნიგნის ავტორი. ხუთივე ნიმუშში ზედა ხმა (დამწყები) საერთოა, მეორდება, ხოლო დანარჩენი ხმების (მოძახილისა და ბანის) ვარიანტების შედგენაში კრებულის ავტორს დიდი მომღერალი, ოთარ ბერძენიშვილი ეხმარებოდა.³¹ აღსანიშნავია, რომ ლ. ვეშაპიძის ეს საინტერესო ნაშრომი, თავისი ექსპერიმენტით ქართულ ეთნომუსიკოლოგიაში გურული სიმღერის, მისი იმპროვიზაციული ბუნების შესწავლის არცთუ ხშირი მცდელობათაგანია.

„ჩვენ მშვიდობის“ ზემოჩამოთვლილი სანოტო ჩანაწერების გარდა, დღემდე არცერთი ნიმუში არ არის გამოქვეყნებული. ამ ხარვეზის გამოსწორების სურვილი დაედო საფუძვლად წინამდებარე პუბლიკაციის მომზადებას. მასალების მოძიებისას ჩემი კვლევისა და ინტერესის არეალში „ჩვენ მშვიდობის“ შვიდ ათეულამდე აუდიონიმუშმა მოიყარა თავი და რაც მთავარია, მათ შორის დიდი უმრავლესობა ინდივიდუალურობის, მაღალმხატვრული ღირებულების მქონეა. სამწუხაროდ ყველა მათგანი ვერ შევიდა წინამდებარე კრებულში, მაგრამ მათგან შერჩეული და ქრონოლოგიურად დალაგებული 40 საუკეთესო ნიმუშის სანოტო ტრანსკრიფცია,

25 „შევისწავლოთ ქართული ხალხური სიმღერა. გურული სიმღერები“. თბილისი, 2004. გვ. 14.

26 იხ. წინამდებარე კრებულის აუდიოდისკზე ნიმუში №2.

27 ქართული ხალხური სიმღერები ანჩისხატის გუნდის რეპერტუარიდან – შემდგ. დავით შულღიაშვილი. თბილისი, 2005. გვ. 35.

28 ქართული ხალხური მუსიკა. გურია. არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული. – შემდგ. ანზორ ერქომაიშვილი. თბილისი, 2005. გვ. 385.

29 იქვე, გვ. 481.

30 გურული ხალხური სიმღერები. – შემდგ. ლევან ვეშაპიძე. თბილისი, 2006. გვ. 250. ეს ნიმუში წინამდებარე კრებულშიც არის შესული (№28), მცირე კორექტივებით.

31 იქვე, გვ. 368, 371, 374, 377, 380. ეს ხუთი ნიმუში ლ. ვეშაპიძის სადიპლომო ნაშრომშიც „გურული ხალხური სიმღერები“ აქვს წარმოდგენილი (1996). შესაბამისად, „ჩვენ მშვიდობა“-ს სამ ხმაში გამოქვეყნებულ პირველ ნიმუშს რვა წლისთ წინ უსწრებს.

შესაბამისი შინაარსის აუდიოდისკითურთ გამოცემა შესაძლებლობას იძლევა პანორამულად დავინახოთ სიმღერა „ჩვენ მშვიდობის“ ერთსაუკუნოვანი გზა.

ჟანრი, დანიშნულება, ტექსტები. „ჩვენ მშვიდობა – სუფრული სიმღერაა. სრულდებოდა სუფრის დასაწყისში, მშვიდობის სადღეგრძელოს შემდეგ. სიმღერის ტრადიციული ტექსტი ასეთია: „ჩვენ მშვიდობა, გამრჯება“. ზოგჯერ მომღერალი იმპროვიზირებულ ტექსტსაც მოიშველიებს.³² სიმღერის სახელწოდებასთან, ტექსტთან და ე. წ. „მოშველიებული ტექსტის“ მქონე მუხლებთან დაკავშირებით გარკვეული მოსაზრებები მსურს გაგიზიაროთ.

როგორც გურიაში, ისე საქართველოს სხვა კუთხეებში კარგად არის ცნობილი სუფრისა და მასპინძელი ოჯახის დალოცვის ფორმა „ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა, ჩვენს მაპინძელს აშენება!“, რომელიც ლოცვისა და საეკლესიო საგალობლის სიტყვების – „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყნასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება“-ს ერთგვარ პერიფრაზს წარმოადგენს. სიტყვებს „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა“ პირდაპირ შეესაბამება „ღმერთს დიდება“; „ქვეყანასა ზედა მშვიდობა“-ს პერიფრაზს წარმოადგენს სიტყვები „ჩვენ მშვიდობა“, ხოლო „კაცთა შორის სათნოება“-ს შესაძლოა რომ მიესადაგებოდეს სიტყვები „ჩვენს მაპინძელს აშენება“. ჩნდება კითხვა-მოსაზრება: სიმღერა „ჩვენ მშვიდობის“ თავდაპირველ ვერსიაში საწყისი სიტყვები „ღმერთს დიდება“ ხომ არ იქნებოდა, რომელიც მოგვიანებით არის ამოღებული?! (ამ შემთხვევაში უფრო ნათელიც ხდება ამ სიტყვების მნიშვნელობა). თავის სტატიაში მსგავს მოსაზრებას გამოთქვამს თამაზ გაბისონია: „სუფრა იწყებოდა ღვთის დიდებით. „ღმერთს დიდება, ჩვენ მშვიდობა“ – ამ სიტყვებს, რომელიც ქრისტეს შობისას ანგელოზთა გალობის ასოციაციაა, როგორც ჩანს, ზოგ შემთხვევაში პირველი ფრაზა მოაკლდა და დღეს ყველაზე განვითარებულ-„გამშვენებული“ გურული სიმღერა „ჩვენ მშვიდობას“ სახით ჩამოყალიბდა“.³³ შეიძლება გვეფიქრა, რომ ღვთის სადიდებელი საწყისი სიტყვების ამოღება საბჭოთა ათეისტურ ცენზურით ყოფილიყო განპირობებული, მაგრამ სიმღერის გასაბჭოებამდელ ჩანაწერშიც იგივე ვერსია დასტურდება. თუმცა, საბჭოთა იდეოლოგია, თავის მხრივ რომ ღვთის არსებობას როგორც სიმღერაში, ისე სუფრის ტრადიციამდე აქტიურად „დაეხმარებოდა“ – ესეც ცხადია! ვგონებ, ამავე მიზეზით უნდა იყოს მყარად დამკვიდრებული აზრი, რომ გურიაში სუფრა ყოველთვის მშვიდობის სადღეგრძელოთი იწყებოდა, მაშინ როცა მთელს საქართველოში ტრადიციისამებრ პირველად ღმერთს ახსენებდნენ! „ჩვენ მშვიდობას“, მისი სავარაუდო საწყისი სიტყვებითურთ (ღმერთს დიდება), სუფრის დასაწყისში სათქმელი სიმღერა-დალოცვის ჩვეული, ტრადიციული სახე ექნებოდა. თუკი ეს მოსაზრება გასაზიარებელია, მაშინ ადვილად აიხსნება საწყისი სიტყვებად გადაადგილებული „ჩვენ მშვიდობას“ ნაცვლად, მასთან გართმული, მაგრამ აზრობრივად არცთუ კონტექსტუალურად მიბმული სიტყვის „გამარჯობა“-ს ჩასმა!

ყურადღებას იქცევს ის ფაქტიც, რომ სიმღერის მრავალი აუდიოჩანაწერი არსებობს, სადაც იგი ერთ მუხლად, ერთ კუპლეტად ითქმის.³⁴ ზოგადად, აუდიოჩანაწერებში სიხშირით ორ მუხლად, ორ მობრუნებად გამღერებული ნიმუშები ქარბობს, თუმცა მათ შორის ხშირია ისეთი შემთხვევებიც, სადაც მეორე მუხლის დაწყება პირველის დამასრულებელ აკორდს კი არ ემთხვევა და უშუალოდ კი არ ებმის მას, როგორც გაგრძელება, არამედ საკადანსო უნისონის შემდეგ, ანუ პირველი მუხლის დასრულების შემდეგ თითქოს თავიდან იწყებენ სიმღერას.³⁵ ყოველივე ეს იმ ვარაუდს უმტკიცებს საფუძველს, რომ „ჩვენ მშვიდობა“ თავისი პირველა-

32 ანზორ ერქომაიშვილი – არტემ ერქომაიშვილის სანოტო კრებული. თბილისი, 2005. გვ. 481.

33 თამაზ გაბისონია – „პირველად ღმერთი ვახსენოთ“, ქრისტიანობა ქართულ ტრადიციულ მუსიკაში – საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის ჟურნალი „მუსიკა“. თბილისი, 2012, №3.

34 კრებულში ასეთი 12 ნიმუშია წარმოდგენილი: №№1, 3, 5, 8, 18, 20, 22, 23, 24, 29, 30, 33.

35 ამის თვალსაჩინო ნიმუშია №13.

დი აგებულებით და ფუნქციით სუფრის დასაწყისში სათქმელი ერთმუხლიანი სიმღერა იყო, რომელიც შემდგომ გადაიქცა ორმუხლიანად. მისი სამმუხლად მღერის ნიმუშებიც არსებობს ძველ ჩანაწერებში, თუმცა მხოლოდ ორი (№2 და №26). უფრო მეტ მუხლად თქმული ვერსია ჩანაწერებში არ დასტურდება. მუხლების დამატების მიზეზი, როგორც ჩანს, იმპროვიზირების, ვარიანტული სახეცვლის წარმოჩენის სურვილით არის განპირობებული. ამას ის ფაქტორიც უწყობს ხელს, რომ სიმღერის უდიდესი ნაწილი ე. წ. სამღერისებით (გლოსოლოალიებით) იმღერება, რაც შემსრულებელს იმპროვიზაციისთვის მეტ თავისუფლებას აძლევს. ამისდა მიუხედავად, „ჩვენ მშვიდობის“ ერთმუხლიანობაზე ჩვენი მოსაზრების ერთგვარ დასტურად ისიც გამოდგება, რომ, ხშირ შემთხვევაში, სიმღერის მეორე და მესამე მუხლ-კუბლეტის სიტყვიერი შინაარსი არ წარმოადგენს პირველი მუხლის გაგრძელებას და უმეტეს შემთხვევაში სატრფიალო, პატრიოტული ან სხვა თემატიკის მქონეა. მაგ., „ვაშა, ვაშა შენს ქალობას თურმე სხვაი გყვარებია“ ან „სანამ ცოცხალ ვიქნები, შენ ჩემი ხარ, მე – შენი“, „სამი რამ ვთხოვე უფალსა, ენატკბილი საუბარი, ლურჯი ცხენი და ზედ საჯდომი, კარგი თოფი უტყუარი“ და სხვ. გვხვდება შემთხვევები, როცა მეორე მობრუნებაში ტექსტად ისევ „ჩვენ მშვიდობა, გამარჯობა“ მეორდება. ხოლო გერმანიაში ტყვეთაგან ჩაწერილ ნიმუშში კი (№5) მეორე მობრუნება მთლიანად გლოსოლოალიებზეა აგებული. საინტერესოა, რომ ძმები აროშიძეების ნამღერ ვერსიაში (№13) „ჩვენ მშვიდობა, გამარჯობა“ ორჯერ მეორდება და მეორე მუხლში ბანის ხმა თითქოს აპირებს „ჩვენს მასპინძელს“ თქვას, მაგრამ ზედა ხმების კარნახით კვლავ „ჩვენ მშვიდობას“ იმეორებენ მესამეჯერ. ჩემი აზრით, ყოველივე ეს სიმღერის არქეტიპის ერთმუხლიანობაზე მიუთითებს.

ჩავლეიშვილი-ჩხიკვიშვილი-სიმონიშვილის ვერსიაში (№2) სიტყვები „ჩვენ მშვიდობა“ საერთოდ არ გვხვდება. სიმღერა იწყება სიტყვებით „მასპინძელსა მხიარულსა ჰყავს სტუმრები საყვარლები“, რაც თითქოს სიმღერის სუფრულ ჟანრს კიდევ უფრო უსვამს ხაზს. როგორც ადრე ავღნიშნეთ, გიგო ერქომაიშვილის ტრიოს აუდიოჩანაწერში (№1) სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“-ს დაწყებამდე დართული აქვს ასეთი რეპლიკა: „ერმილე მოლარიშვილო, სტოლის ხელვაკი თქვი, სტოლის!“ . სახელწოდება „სტოლის ხელვაკი“, იგივე „სუფრის ხელვაკი“, ჩვეულებრივ, სხვა სუფრული ტრიო-სიმღერის კუთვნილებად არის მიჩნეული, რომლის პირველი სიტყვებიც გახლავთ: „მასპინძელსა მხიარულსა ჰყავს სტუმრები საყვარლები“. თუმცა, აღნიშნული რეპლიკა იმას ხომ არ ნიშნავს, რომ „სუფრის ხელვაკი“ ზოგადი სახელწოდება იყო სუფრის ტრადიციასთან დაკავშირებული სიმღერებისა, რომელთა შორის უპირველესი სწორედ „ჩვენ მშვიდობაა“?

იმპროვიზაცია, ქართულ ხალხური მუსიკის დიალექტებს შორის, სწორედ გურულ ტრიო სიმღერების განსაკუთრებულად გამორჩეული ნიშანთვისებაა. ამ თვალსაზრისით სიმღერა „ჩვენ მშვიდობა“ ერთ-ერთი თვალსაჩინო ნიმუშია, რომლის შესრულებისას დახელოვანებული, ოსტატი მომღერლის მთავარ ამოცანას ყოველ ჯერზე ჰანგის ორიგინალური, ახლებური მოძრაობით და ფიგურაციით შემკობა წარმოადგენს. ეს თანაბრად ეხება სიმღერის სამივე ხმას. სამი ხმის კოლექტიური იმპროვიზაცია შეუძლებელი იქნებოდა მყარი სტრუქტურული და ჰარმონიული კარკასის გარეშე. ამ მხრივ „ჩვენ მშვიდობა“, ჯაზური ტერმინით რომ ვთქვათ, ერთ-ერთ გამორჩეულ „სტანდარტს“ წარმოადგენს, რომელმაც მცოდნე იმპროვიზატორ შემსრულებლთა მრავალ თაობას მისცა შესაძლებლობა წარმოეჩინა მუსიკალური ფანტაზიისა და საშემსრულებლო ხელოვნების განვითარების უსაზღვრობა ქართულ სიმღერაში.

გავრცელების არეალი. „ჩვენ მშვიდობა“ გურული სიმღერაა, თუმცა მისი გავრცელების არეალი დასავლეთ საქართველოს კიდევ რამდენიმე კუთხეს მოიცავს, სადაც იგი თავისებურ ელფერს იძენს. კერძოდ, საექსპედიციო მასალების მიხედვით, იგი გურიის გარდა, გვხვდება იმერეთში, სამეგრელოში, აჭარაში, აფხაზეთში. ამ უკანასკნელის ნიმუშს წარმოადგენს სამურზაყანოში, კერძოდ, გალის რაიონის სოფელ ოქუმში 1970 წლის ჩანაწერი (იხ. ნი-

მუში №32). მუსიკალური თავისებურების გარდა, ეს შესრულება ტექსტობრივადაც არის საინტერესო; ამაზე ისიც მეტყველებს, რომ სიმღერას ამ შემთხვევაში არა „ჩვენ მშვიდობა“, არამედ პირდაპირ „მშვიდობა“ ჰქვია და ამ სიტყვითვე იწყება: „მშვიდობა, გამარჯობა“. სიმღერის მეორე მობრუნებაში ისმის სიტყვები: „ვაშა ვაშა შენს ქალობას, ვაშა შენს ქალიშვილობას“ ხოლო შემდეგ მეგრული სიტყვები მოსდევს: „მაფშალია უძუძურს“ (ბულბული უძუძური). მსგავსი სურათი სამეგრელოშიც გვხვდება, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჩხორიაში ჩანერილ ნიმუშში (იხ. ნიმუში №12), სადაც მეორე მობრუნებაში ასევე მღერიან სიტყვებს „ვაშა, ვაშა, შენს ქალობას“ და შემდეგ აქაც მეგრული ტექსტი ჩაერთვის (ცუდი სმენადობის მიუხედავად მაინც ისმის სიტყვები: „სკანი ქირი, სკანი ცოფათ, სკან ცოროფათ გამახარი“ (შენი ქირიმე, შენი ყოფნით, შენი სიყვარულით გამახარე).

განსაკუთრებულია „ჩვენ მშვიდობის“ იმერული ვარიანტიები. ვანის რაიონში ჩანერილი ნიმუშები ვარიანტული თვალსაზრისით მეტად თავისებურია. ერთი მათგანი, სახელწოდების იგივეობის მიუხედავად, განსხვავებული ჰანგის მქონეა, ამიტომ ჩვენს კრებულში არ შეგვიტანია. ხოლო მეორე – ჩვეულებრივი „ჩვენ მშვიდობის“ თავისებურ, იმერულ ვერსიას წარმოადგენს (№38). მასში შესრულების ფორმაც შეცვლილია: სიმღერას არა ზედა, არამედ შუა ხმა იწყებს და ამ ზედა ხმებს სოლისტი ბანის ნაცვლად აქ ბანების ჯგუფი ახლავს. თან, მისი სანყისი სოლოც საგრძნობლად გრძელია, ვიდრე ჩვეულებრივ. დანარჩენი ხმები გვიან უერთდებიან მას. (მსგავსი გრძელი სოლო დანყება ზემო სურების ვარიანტშიც გვხვდება (№33), თუმცა მასში სიმღერას, ჩვეულებისამებრ, ზედა ხმა იწყებს). გურულ ვერსიებთან შედარებით იმერული „ჩვენ მშვიდობა“ უფრო სადა აგებულებისაა. იმპროვიზაციულობა მასაც საკმაოდ ახასიათებს, მაგრამ ხმათასვლის სირთულით ბევრ გურულ ვერსიას ვერ შეერკინება. ამავე დროს, განწყობა-ხასიათით, შეიძლება ითქვას, მეტად თავისებური და ხალისიანი არის.

სტრუქტურა. „ჩვენ მშვიდობა“ ორნილადი მკვეთრი მეტრის მქონე სიმღერაა. აგებულებით იგი ექვს მუსიკალურ ფრაზა-მუხლად შეიძლება დაყვით. მუსიკალური ფრაზა-მუხლები სხვადასხვა რაოდენობის ტაქტებისგან შედგება. კეძოდ, პირველი ორი მუხლი 8-8 ტაქტიანია. მესამე – 6, მეოთხე – 7, მეხუთე – 6 ტაქტიანი, ხოლო მეექვსე მუხლი – 7 (ზოგჯერ 8) ტაქტისგან შედგება.³⁶ მაგრამ თუ სიმღერა შემდეგ კუბლეტზე, შემდეგ მობრუნებაზე მყისიერად გადადის, ეს მუხლი 6 ტაქტიანი ხება. ზოგი ფრაზა მონყვევით, მოკლედ აღებული კადანსური კვინტით ან უნისონით სრულდება, რომელსაც გენერალური (ყველა ხმაში) პაუზა მოსდევს. ასეთ შემთხვევაში, უმეტესად, ამ ტაქტის ზომა ერთი თვლით შემოკლებულია ხოლმე. ზოგი მუხლი, რომელიც ჩვეულებრივ კადანსით (კვინტით) სრულდება, ცალკეულ შემთხვევებში უკადანსოდ ებმის შემდეგ ფრაზას. ეს შემსრულებლის სურვილზე და არჩევანზეა დამოკიდებული.

